

## MyQ.ge – ის წესები, პირობები და კონფიდენციალურობის პოლიტიკა

გთხოვთ, ყურადღებით გაეცანით წინამდებარე წესებს, პირობებსა და კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რადგან “MyQ.ge” – ის მომსახურებით სარგებლობისას, თქვენ სრულ თანხმობას აცხადებთ ამ წესებსა და პირობებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილი წესები და პირობები არეგულირებს თქვენ მიერ “MyQ.ge” - ის ვებ-გვერდით და მომსახურებით სარგებლობას და თუ არ ეთანხმებით მას, უნდა შეწყვიტოთ აღნიშნული ვებ - გვერდით სარგებლობა.

ტერმინები “თქვენ”, “აპლიკანტი“, მომხმარებელი“ მიუთითებს ფიზიკურ პირზე, რომელიც შედის ვებ-გვერდზე: “MyQ.ge” და/ან სარგებლობს მისი მომსახურებით.

### მომსახურება

“MyQ.ge” არის ინოვაციური სისტემა, რომლის მიზანია, გაზომოს სამსახურის მაძიებელთა (აპლიკანტთა) რეალური ცოდნა და შესაძლებლობები და მიაწოდოს დამუშავებული ინფორმაცია დამსაქმებლებს, რომლებიც „MyQ.ge“ - ის მეშვეობით ეცდებიან დაიქირავონ (დაასაქმონ) საჭირო თანამშრომლები. ჩვენი ვებ-გვერდის, კერძოდ [www.myq.ge](http://www.myq.ge) - ის მეშვეობით, თქვენ შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ, შეიყვანოთ თქვენი პირადი მონაცემები, გაიაროთ ტესტირების სრული პროგრამა და მიიღოთ თქვენი კვალიფიკაციის შესაბამისი სამსახური.

### ტესტირების პროგრამა

ტესტირების სრული პროგრამა შედგება სამი ნაწილისაგან:

1. ზოგადი-უნარები;
2. უცხო ენა;
3. საოფისე პროგრამები;

თავის მხრივ **ზოგადი უნარები** შედგება 5 ნაწილისაგან:

ა. სისწრაფის თამაში - ზომავს აპლიკანტის სწრაფი აზროვნების უნარს.

თამაშის წესები:

- აპლიკანტმა უნდა გამოიყენოს კლავიატურაზე არსებული ნავიგაციის ღილაკები ავტომობილის მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან გადასაადგილებლად.
- აპლიკანტის მიზანია გვერდი აუაროს ყველა მოძრავ და უძრავ დაბრკოლებას, რომელიც წინ შეხვდება, შეჯახების გარეშე და დააგროვოს მაქსიმალური ქულა.
- მარჯვენა პანელში განთავსებული წითელი კვადრატების ანთება განსაზღვრავს სტატისკური დაბრკოლებების ადგილმდებარეობას სამოძრაო ზოლებში.

- თამაშის დაწყებიდან დასრულებამდე აპლიკანტმა არ უნდა დატოვოს ბრაუზერის გვერდი, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაში დასრულდება და აპლიკანტი ვერ შეძლებს მაქსიმალური ქულის დაგროვებას.
- საბოლოო ქულა ანგარიშდება გადაღებული დაბრკოლებებისა და მანქანის მოძრაობის საშუალო სიჩქარის მიხედვით.

ბ. მეხსიერების თამაში - ზომავს აპლიკანტის მეხსიერების სიძლიერეს.

თამაშის წესები:

- აპლიკანტმა უნდა დაიმახსოვროს განათებული კვადრატების სწორი მდებარეობა და მათი ჩაქრობის შემდეგ გაიხსენოს თუ სად იყო თითოეული მათგანი.
- აპლიკანტის მიზანია, გაიხსენოს და გამოიცნოს რაც შეიძლება მეტი განათებული კვადრატის მდებარეობა.
- თამაშის დაწყებიდან დასრულებამდე აპლიკანტმა არ უნდა დატოვოს ბრაუზერის გვერდი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა თამაში დასრულდეს და აპლიკანტი ვერ შეძლებს მაქსიმალური ქულის დაგროვებას.
- საბოლოო ქულა დაანგარიშდება გამოცნობილი კვადრატების რაოდენობითა და ბონუს ქულებით.

გ. კონცენტრაციის თამაში - ზომავს აპლიკანტის კონცენტრირებულობას.

- აპლიკანტმა უნდა გაარჩიოს ცენტრში (სხვა ფრინველების შუაში) არსებული ფრინველის მიმართულება და დააჭიროს შესაბამისი მიმართულების ნავიგაციის ღილაკს კლავიატურაზე.
- აპლიკანტის მიზანია დააგროვოს მაქსიმალური ქულა, რისთვისაც საჭიროა სწრაფად გამოიცნოს ფრინველების თითოეული გუნდის ცენტრში (შუაში) მყოფი ჩიტის მიმართულება და დააჭიროს შესაბამის ნავიგაციის ღილაკს.
- თამაშის დაწყებიდან დასრულებამდე აპლიკანტმა არ უნდა დატოვოს ბრაუზერის გვერდი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა თამაში დასრულდეს და აპლიკანტი ვერ შეძლებს მაქსიმალური ქულის დაგროვებას.
- საბოლოო ქულა დაანგარიშდება სწორად გამოცნობილი ფრინველების რაოდენობებითა და ბონუს ქულებით.

დ. ლოგიკური ამოცანები - ზომავს აპლიკანტის ლოგიკური აზროვნების უნარს.

რთული ამოცანები მეტი ქულით ფასდება, ვიდრე იოლი. თითოეულ არასწორ პასუხზე აპლიკანტს აკლდება 0,2 ქულა.

ე. მათემატიკური ამოცანები - ზომავს აპლიკანტის მათემატიკურ და რაოდენობრივ აზროვნებას.

რთული ამოცანები მეტი ქულით ფასდება, ვიდრე იოლი. თითოეულ არასწორ პასუხზე აპლიკანტს აკლდება 0,2 ქულა.

## უცხო ენა

შედგება ინგლისური და რუსული ენების გრამატიკული ტესტებისაგან. თითოეულ არასწორ პასუხზე აპლიკანტს აკლდება 0,2 ქულა.

## საოფისე პროგრამები

შედგება Word, Excel, PowerPoint და Outlook - ის შესახებ მარტივი და რთული შეკითხვებისაგან. თითოეულ არასწორ პასუხზე აპლიკანტს აკლდება 0,2 ქულა.

**შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ თითოეული ტესტირების დაწერა შესაძლებელია თვეში ერთხელ!**

## ჩვენი ვებ-გვერდითა და მომსახურებით სარგებლობა

თქვენ გაქვთ უფლება, ისარგებლოთ “MyQ.ge” - ით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ:

- იმოქმედებთ წინამდებარე წესებისა და პირობების შესაბამისად;
- არ დააკოპირებთ MyQ.ge - ის ტესტირებების ნაწილს და შემდეგ არ გაავრცელებთ (თუნდაც ინტერნეტ სივრცეში) ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- რეგისტრაციისას წარმოადგენთ მხოლოდ ზუსტ და უტყუარ ინფორმაციას;
- ხართ სრულად პასუხისმგებელი თქვენი, როგორც მომხმარებლის, პირად ანგარიშზე (პროფილი), ასევე ყველა იმ აქტივობაზე, რაც ხორციელდება თქვენი ანგარიშიდან;
- ხართ სრულად პასუხისმგებელი თქვენ მიერ მოწოდებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე.
- “MyQ.ge” – ით სარგებლობისას, თქვენ ანიჭებთ “MyQ.ge” – ის სრულ უფლებას, ნებისმიერ დროს გადასცეს თქვენ მიერ დაფიქსირებული ყველა ტიპის ინფორმაცია, მათ შორის პირადი ინფორმაციაც, მათ შორის თქვენი პერსონალური მონაცემები, პარტნიორ ორგანიზაციებს (დამსაქმებლებს), რათა დამსაქმებლებმა გაანალიზონ თქვენი მონაცემები და გადაწყვიტონ შეესაბამება თუ არა თქვენი კანდიდატურა მათ სამუშაო ვაკანსიას.
- თქვენ ადასტურებთ, რომ ჩვენ (MyQ.ge - ის) გვაქვს უფლება თავად განვსაზღვროთ, არის თუ არა ნებისმიერი თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია სათანადო და შეესაბამება თუ არა წინამდებარე წესებსა და პირობებს; დავხუროთ თქვენი ანგარიში წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე ან მის გარეშე.
- აცნობიერებთ იმას, რომ MyQ.ge არ გაძლევთ იმის აუცილებელ გარანტიას, რომ დამსაქმებლებისათვის მისაღები კანდიდატურა აღმოჩნდებით და აუცილებლად დაგასაქმებენ, არამედ MyQ.ge წარუდგენს დამსაქმებლებს თქვენი შესაძლებლობების, ცოდნის, გამოცდილების და უნარების შესახებ საჭირო ინფორმაციას, რითაც ზრდის შანსს დასაქმდეთ თქვენი კვალიფიკაციის შესაბამის სამსახურში.

## თქვენი პროფილი

“MyQ.ge” – ზე დარეგისტრირება და თქვენ შესახებ ინფორმაციის შეტანა შესაბამის ველებში

აუცილებელია, რადგან სხვა შემთხვევაში დამსაქმებლებს არ ექნებათ თქვენ შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ვერ შეძლებენ თქვენს დასაქმებას.

თუ თქვენ დარეგისტრირდებით ჩვენს საიტზე და შექმნით პროფილს, ამით დაეთანხმებით იმას, რომ წარადგენთ მხოლოდ ზუსტ, სრულ სარეგისტრაციო ინფორმაციას და განაახლებთ, თუ ის შეიცვლება. დარეგისტრირებისას თქვენ მიიღებთ ინდივიდუალურ მანდატს სისტემაში ავტორიზაციისათვის (თქვენი პირადი ნომრით და პაროლით შესვლა - “MyQ.ge” - ზე). “MyQ.ge” – ის ვებ-გვერდზე ავტორიზაცია და მისი მომსახურებით სარგებლობა თქვენი ანგარიშის მეშვეობით არ არის ნებადართული ნებისმიერი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის. თქვენ ხართ პასუხისმგებელი მსგავსი უნებართვო სარგებლობის აღკვეთაზე. თქვენ არ შეგიძლიათ რომელიმე სხვა პირს დაავალოთ თქვენი ანგარიშით სარგებლობა თქვენს ნაცვლად! წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ინფორმაცია ჩაითვლება არაავთენტურად და თქვენი პროფილი დაიხურება.

მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი ვებ-გვერდზე ნებისმიერი და ყველა შესვლისათვის ან მომსახურებით სარგებლობისათვის, რომელიც განხორციელდება სხვა პირთა მიერ თქვენი „MyQ.ge“- ის პროფილის გამოყენებით. გთხოვთ, დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ, თუ გაიგებთ, რომ თქვენი „MyQ.ge“- ის ანგარიშის გამოყენება ხორციელდება თქვენი ნებართვის გარეშე.

### **მომხმარებლის ქცევის ზოგადი წესები**

ჩვენი მიზანია, რომ ჩვენი ვებ-გვერდითა და მომსახურებით სარგებლობა იყოს სასიამოვნო და გამოსადეგი ყველა ჩვენი მომხმარებლისათვის. აქედან გამომდინარე, თქვენ თანახმა ხართ, რომ არ განახორციელებთ ნებისმიერ ქვემოხსენებულ ქმედებას:

- ნებისმიერი უკანონო ღონისძიების განხორციელება ან რეკლამირება ჩვენი ვებ-გვერდის ან მომსახურების მეშვეობით;
- ვებ-გვერდის ან მომსახურების გამართული ფუნქციონირებისათვის საფრთხის შექმნის ან რაიმე მცდელობა იმისათვის, რათა გამოანგარიშებულ იქნეს პროგრამის კოდი (მათ შორის ინსტრუმენტები, მეთოდები, პროცესები და ინფრასტრუქტურა), რასაც ემყარება და რითაც ფუნქციონირებს ვებ-გვერდი;
- ვებ-გვერდის ან მომსახურების დაცულ ნაწილზე შესვლის მცდელობა, რისი უფლებაც თქვენ არ გაქვთ;
- ნებისმიერი სახის ვირუსის ან ზიანის მომტანი კოდის ატვირთვა ან გადაცემა;
- ვებ-გვერდის ან მომსახურების გამოყენება იმისათვის, რომ შექმნილ იქნას არასასურველი სპამი ან ელექტრონულ ფოსტაზე გასავრცელებელი რეკლამა;
- ნებისმიერი ავტომატური ან მექანიკური პროცესის გამოყენება ვებ-გვერდიდან ან მომსახურებიდან რაიმე ინფორმაციის მოსაპოვებლად ან მოსამებნად, ან ვებ-გვერდისა და მომსახურების გამართულ ფუნქციონირებაში ჩარევის მიზნით ან საკუთარი თავის სხვა მომხმარებლად გასაღება.

## ტესტირება და იდენტიფიკაცია

ტესტირების დაწყებამდე თქვენი ვებ-ბრაუზერი (Google Chrome, Opera, Mozilla Firefox და სხვა.) მოგთხოვთ თანხმობას, რომ ტესტირების პროცესის განმავლობაში წვდომა მივიღოთ თქვენი ლეპტოპის ან პერსონალური კომპიუტერის ვიდეო თვალზე. ჩვენი მონიტორინგის სამსახური კამერის ჩანაწერის მიხედვით განსაზღვრას თქვენი ტესტირების შედეგებს, ამიტომაც ვებ კამერაზე წვდომის უფლების გარეშე თქვენ არ გექნებათ ტესტირების გაგრძელების საშუალება. ვებ კამერაზე წვდომის დათანხმების მიუხედავად, თუ თქვენ შეეცდებით დაფაროთ, გათიშოთ კამერა ან არ გამოაჩინოთ რეალური აპლიკანტი (მომხმარებელი რომელიც რეალურად წერს ტესტებს და გადის სპეციალურ თამაშებს) თქვენი ანგარიში დაიხურება და თქვენ ვერ შეძლებთ დასაქმების პროექტში მონაწილეობის მიღებას.

ტესტირებისას თქვენი მიზანია დააგროვოთ ყველა თამაშსა თუ ტესტში ყველაზე მაღალი ქულა. თქვენ მიერ დაგროვილი ქულები შედარდება სხვა აპლიკანტების მიერ აღებულ ქულებს და ამის მიხედვით მოგენიჭებათ და შემდგომში შეიცვლება თქვენი საერთო პროცენტული ქულები.

## კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია

### 1. Cookie პოლიტიკა

ჩვენ ვიყენებთ Cookies-ს, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ გაძლევთ საუკეთესო გამოცდილებას ჩვენს ვებ-გვერდზე ყოფნისას. Cookies-ს გამოყენებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ლინკზე: [https://en.wikipedia.org/wiki/HTTP\\_cookie](https://en.wikipedia.org/wiki/HTTP_cookie). ჩვენი საიტის გამოყენებით თქვენ ეთანხმებით MyQ.ge - ის მიერ Cookies-ის გამოყენების უფლებას.

### 2. ინფორმაციის დამუშავება.

მომხმარებლისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ MyQ.ge - ის მომსახურებით სარგებლობის შედეგად MyQ.ge უფლებამოსილია განახორციელოს მომხმარებლის შესახებ არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება. მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.

### 3. ინფორმაციის გადაცემა/გამოთხოვა.

მომხმარებელი MyQ.ge -ს ანიჭებს უპირობო უფლებას, მომხმარებლის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე: MyQ.ge - იმ გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს MyQ.ge

- ის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია მის შვილობილ, აფილირებულ, პარტნიორ ან სხვა ნებისმიერ მესამე პირებს, მათ მიერ სხვადასხვა ტიპის სამსახურის შემოთავაზებების მიზნით.

#### **4. მარკეტინგი.**

მომხმარებელი ანიჭებს MyQ.ge - ის უფლებამოსილებას, MyQ.ge - ის სისტემაში/ბაზაში დაფიქსირებულ მომხმარებლის ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე MyQ.ge - ის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლეტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა, მანამ სანამ MyQ.ge - ის მომხმარებლისგან არ მივიღებთ სხვაგვარ მითითებას.

#### **5. მონაცემების განახლება და შენახვის ვადა.**

MyQ.ge - ის მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება MyQ.ge - ის მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ამასთან, იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც მომხმარებლის მიერ MyQ.ge - ის მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ - ბრაუზერი, MyQ.ge - ის ვებ - გვერდი, MyQ.ge - ის მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება მომხმარებლის მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება MyQ.ge - ის მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

#### **6. ინფორმაციის მიწოდება.**

მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში MyQ.ge კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში მიაწვდის მომხმარებლებს მის შესახებ MyQ.ge - ის სისტემაში არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე MyQ.ge - ის ცალმხრივად აქვს უფლება დააწესოს მომსახურების ტარიფი საკომისიოს სახით. თუ მომხმარებელი თვლის, რომ მომხმარებლის შესახებ MyQ.ge - ის სისტემაში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყონებლივ წერილობით აცნობოს MyQ.ge - ის აღნიშნულის შესახებ.